

## ამომრჩეველთა საყურადღებოდ



არჩევნებისთვის სულ 3030 (მათ შორის 2262 უბანზე კენჭისყრა ელექტრონული საშუალებების გამოყენებით გაიმართება რაც ითვალისწინებს ამომრჩეველთა რეგისტრაციას, ხმის დათვლას და კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენის პროცედურებს ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, 768 უბანზე კი ტრადიციული წესით) საარჩევნო უბანი გაიხსნება.

**კენჭისყრა იწყება დღის 08:00 საათზე და სრულდება 20:00 საათზე.**

ამ დროისათვის რიგში მდგომ ამომრჩევლებს შეუძლიათ ხმის მიცემა, რისთვისაც საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის დავალებით კომისიის ერთ-ერთი წევრი აღრიცხავს რიგში მდგომ ამომრჩეველთა გვარებსა და სახელებს, მათ რაოდენობას აცნობებს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, ხოლო

კომისიის მდივანი ჩანაწერთა წიგნში აღნიშნავს რიგში მდგომ ამომრჩეველთა რაოდენობას.

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე აცხადებს, რომ კენჭისყრაში მონაწილეობა მხოლოდ რიგში მდგომ ამომრჩევლებს შეუძლიათ.

**რა პროცედურებს გადის ამომრჩეველი უბანზე ელექტრონულ არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად?**

კენჭისყრის ოთახში შესვლისას ამომრჩეველი გადის მარკირების შემოწმების პროცედურას. თუ ამომრჩეველი არ იქნება მარკირებული, მას მიეცემა კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება. კენჭისყრის ოთახში ამომრჩეველთა ნაკადის მომწესრიგებელი კომისიის წევრი კენჭისყრის ოთახში ამომრჩეველს შეუშვებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი მას წარუდგენს საქართველოს მოქალაქის პირადობის ელექტრონულ მოწმობას (ID-ბარათს), საქართველოს მოქალაქის პირადობის მოქმედ არაელექტრონულ (ინფორმაციის ელექტრონული მატარებლის არმქონე) მოწმობას ან საქართველოს მოქალაქის პასპორტს და ამომრჩევლისთვის განკუთვნილ სარეგისტრაციო მაგიდასთან ორზე მეტი ამომრჩეველი არ იმყოფება.

ამ ბმულის საშუალებით ნახე სრულად, როგორ უნდა მისცე ხმა ელექტრონულ არჩევნებში: <https://game.cec.gov.ge/>

**რას ნიშნავს და რისთვის გამოიყენება მარკირება?**

მარკირება ითვალისწინებს თვალით უხილავი და ადამიანის ჯანმრთელობისათვის უვნებელი ქიმიური საღებავის წასმას ამომრჩევლის მარჯვენა ხელის ცერა ან საჩვენებელი თითის

ფრჩხილზე (აღნიშნული მოქმედების შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში – მარჯვენა ხელის სხვა თითის ფრჩხილზე, ხოლო ამის შეუძლებლობისას – ასეთივე წესით მარცხენა ხელზე).

ამომრჩეველი მარკირებას გადის საარჩევნო უბანზე. კომისიის წევრი სპეციალური ხელსაწყო აპარატის მეშვეობით ამუქებს მარკირების ადგილს. თუ ამომრჩეველს მარკირება არ აღენიშნა ეძლევა კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება. ხოლო თუ გამოვლინდა, რომ ამომრჩეველს უკვე აქვს მარკირება, მას ეკრძალება კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება.

მარკირება უსაფრთხოა და უვნებელია ადამიანის ჯანმრთელობისათვის.

### **როგორ გაივლიან ამომრჩევლები რეგისტრაციას?**

ამომრჩეველთა იდენტიფიცირება ელექტრონული აპარატების გამოყენებით განხორციელდება. საარჩევნო უბანზე მისული ამომრჩევლის მონაცემებს რეგისტრატორი ელექტრონული ვერიფიკაციის აპარატით გადაამოწმებს. აღსანიშნავია, რომ ვერიფიკაციის აპარატში მხოლოდ იმ კონკრეტული საარჩევნო უბნის ამომრჩეველთა სია იქნება ჩატვირთული. ორმაგი ვერიფიკაციის მცდელობისას აპარატი გამოსცემს ხმას და არ გაატარებს ამომრჩეველს მეორედ.

### **როგორი იქნება უშუალოდ კენჭისყრის პროცედურა იმ საარჩევნო უბანზე, სადაც განთავსებული იქნება ელექტრონული ტექნოლოგიები?**

რაც შეეხება კენჭისყრას, დეტალური პროცედურა თანმიმდევრობით შემდეგია:

- ამომრჩეველი საარჩევნო უბანზე მისვლისას გადის მარკირების შემოწმების პროცედურას;
- შემდეგ ნაკადის მომწესრიგებელს წარუდგენს საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობას ან პასპორტს;
- რეგისტრატორი ამომრჩევლის მონაცემებს ელექტრონული ვერიფიკაციის აპარატით გადაამოწმებს, ვერიფიკაციის შემდეგ აპარატიდან ამოიბეჭდება სპეციალური ქვითარი, რომელზე ხელის მოწერითაც ამომრჩეველი ადასტურებს არჩევნებში მონაწილეობას;
- ქვითარი რჩება რეგისტრატორთან, მარკირების პროცედურის გავლის შემდეგ ამომრჩეველს გადაეცემა საარჩევნო ბიულეტენი და სპეციალური ჩარჩო კონვერტი;
- ამომრჩეველი ფარული კენჭისყრის კაბინაში აკეთებს არჩევანს - ბიულეტენზე აფერადებს სასურველი მხოლოდ ერთი კანდიდატის წინ არსებული წრეს, რის შემდეგაც ბიულეტენს ათავსებს სპეციალურ ჩარჩო-კონვერტში არჩევანის ფარულობის უზრუნველსაყოფად;
- სპეციალური ჩარჩო-კონვერტის გამოყენებით ბიულეტენს ათავსებს ხმის მთვლელ აპარატში.

## როგორ იქნება საარჩევნო ბიულეტენი?

მორიგი სიახლე, რომელიც ამომრჩეველს ელექტრონულ საარჩევნო უბანზე დახვდება, ახალი სახის ბიულეტენია. ელექტრონულ უბანზე მისულმა ამომრჩეველმა ამ შემთხვევაში კი არ უნდა შემოხაზოს სასურველი საარჩევნო სუბიექტის ნომერი, არამედ უნდა გააფერადოს სუბიექტის წინ არსებული წრე.

სიახლეა ბიულეტენზე დატანილი სპეციალური შტრიხკოდი და QR-კოდი. თითოეული უბნისთვის განკუთვნილი კონკრეტული ბიულეტენის გამოყენება შეუძლებელია სხვა უბანზე, რადგანაც QR კოდში გაწერილია უბნის, ოლქისა და კონკრეტული არჩევნების ID. შესაბამისად QR კოდის არსებობა უზრუნველყოფს ბიულეტენის დაცულობას და საზღვრავს თუ რომელი უბნისთვისაა განკუთვნილი ესა თუ ის ბიულეტენი.

### **დაკავშირებული იქნება თუ არა საარჩევნო ელექტრონული აპარატები ინტერნეტთან?**

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ ელექტრონული აპარატები - ხმის მიცემისა და ხმის დათვლის ოპტიკური სკანერები (Poll Count Optical Scanners (PCOS)) და ამომრჩეველთა ვერიფიკაციის აპარატები (VIU) არ არის დაკავშირებული ინტერნეტის ქსელთან და შესაბამისად კიბერჩარევის საფრთხე არ არსებობს; ამასთან, აღსანიშნავია, რომ ეს ორი აპარატი ერთმანეთთან ქსელურადაც არ არის დაკავშირებული.

ერთადერთი ელექტრონული აპარატი, რომელიც ჩართულია (პრივატულ) ინტერნეტ ქსელში, არის პლანშეტი. ეს კავშირი არის სრულიად დაცული და ამ ქსელით პლანშეტი მხოლოდ და მხოლოდ ცესკოს სერვერს უკავშირდება.

### **როგორ იქნება დაცული ხმის მიცემის ფარულობა?**

ელექტრონული აპარატის გამოყენებით ხმის მიცემისას უზრუნველყოფილი და დაცულია ფარულობა. ახალი სახის ბიულეტენთან ერთად საარჩევნო უბანზე ამომრჩეველს დახვდება სპეციალური ჩარჩო - კონვერტი, რომელიც

უზრუნველყოფს ხმის ფარულობის დაცვას - ამომრჩეველმა ბიულეტენი გადაუკეცავად, ამობრუნებული ფორმით უნდა მოათავსოს სპეციალურ ჩარჩო-კონვერტში, შემდეგ კი ხმის დათვლის აპარატში (ხმის მიცემისა და ხმის დათვლის ოპტიკური სკანერში (Poll Count Optical Scanners (PCOS))). შესაბამისად, შეუძლებელია, უბანზე ვინმემ შეძლოს იდენტიფიცირება, თუ ვის მისცა ამომრჩეველმა ხმა.

ამასთან, ამომრჩეველთა ვერიფიკაციის აპარატი (VIU) ამუშავებს და ინახავს ამომრჩეველთა იმ პერსონალური მონაცემებს, რაც აუცილებელია მხოლოდ ხმის მიცემის პროცესისთვის. ხოლო ხმის მთვლელი აპარატი არ ამუშავებს და არ ინახავს ამომრჩეველთა პერსონალურ ინფორმაციას. შესაბამისად, შეუძლებელი ხდება ამომრჩევლის დაკავშირება მის მიერ მიცემულ ხმასთან.

ელექტრონული ხმის მიცემის პროცესი, განსაკუთრებით კი დათვლის ეტაპი, ზედმიწევნით არის რეგულირებული და სტრუქტურირებული ისე, რომ ამომრჩევლის არჩევანი არ იყოს იურიდიულად ან ტექნიკურად გამოვლენილი. არ არსებობს კავშირი ამომრჩეველთა ვერიფიკაციის აპარატსა და ხმების დათვლის ელექტრონულ აპარატს შორის, რაც ხელს უშლის მიცემულ ხმებსა და ამომრჩევლებს შორის რაიმე კავშირის დადგენას. ამასთან, ბიულეტენი არ არის სერიული ან ჩაწერილი ისე, რომ შესაძლებელი იყოს კონკრეტული ბიულეტენის კონკრეტულ ამომრჩეველთან ასოცირება.

**რა ხდება მაშინ, თუ საარჩევნო უბანზე რომელიმე აპარატი მწყობრიდან გამოვა?**

საარჩევნო ადმინისტრაციის გამოცდილებით, ალბათობა იმისა, რომ რომელიმე აპარატი მწყობრიდან გამოვიდეს,

მინიმალურია. მაგრამ, რა თქმა უნდა, გათვალისწინებული და დაზღვეულია მსგავსი შემთხვევებიც.

მთავარი არის ის, რომ არცერთ შემთხვევაში არ შეწყდება კენჭისყრა.

მაგალითად, თუ ვერიფიკაციის ერთი აპარატი მწყობრიდან გამოვა, შემცირდება რეგისტრატორთა რაოდენობა და შესაბამისად მოიხსნება მწყობრიდან გამოსული აპარატი და ვერიფიკაცია გაგრძელდება მეორე აპარატის გამოყენებით.

იმ შემთხვევაში, თუ ყველა აპარატი გამოვა მწყობრიდან, საარჩევნო უბანზე დალუქულ მდგომარეობაში იქნება ამომრჩეველთა სამაგიდო სიები და სწორედ აღნიშნულის მეშვეობით გაგრძელდება კენჭისყრის პროცესი.

რაც შეეხება ხმის მიცემისა და დათვლის აპარატებს, ყველა საარჩევნო უბანზე განთავსებული იქნება არანაკლებ 2 აპარატი, ერთი აპარატის მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში კენჭისყრის გაგრძელება მოხდება მეორე ფუნქციონირებადი აპარატით, ხოლო თუ ყველა გამოვა მწყობრიდან, ყუთს მოეხსნება ზემოდან დამაგრებული აპარატი და პროცესი ძველი წესით გაგრძელდება (ამომრჩეველი ბიულეტენს ყუთის ჭრილში მოათავსებს).

### **როგორ დაითვლება ხმები?**

ხმის დათვლა ხორციელდება ელექტრონული აპარატების (ხმის მიცემისა და ხმის დათვლის ოპტიკური სკანერის (Poll Count Optical Scanners (PCOS)) გამოყენებით. ყოველ საარჩევნო უბანზე განთავსებული იქნება არანაკლებ 2 ხმის მთვლელი აპარატი. კენჭისყრის მიმდინარეობისას თითოეული აპარატი

დამოუკიდებლად თვლის მიღებული ბიულეტენების შედეგს. კენჭისყრის დასრულების შემდეგ კი აპარატებს შორის პირდაპირი კავშირით ხდება მიღებული ხმების დაჯამება. აღსანიშნავია, რომ უბანზე არსებული ხმის მთვლელი აპარატებს შორის საბოლოო ინფორმაციის მიმოცვლა მხოლოდ და მხოლოდ პირდაპირი კავშირით, ინტერნეტის გარეშე ხორციელდება.

ხმის მთვლელი აპარატი ავტომატურ რეჟიმში ითვლის ხმებს და კენჭისყრის დასრულების შემდეგ სავალდებულო პროცედურების განხორციელებისთანავე ბეჭდავს კენჭისყრის წინასწარი შედეგების შესახებ ამონაწერს.

სწორედ ხმის მთვლელი აპარატის მეშვეობით, კენჭისყრის დასრულების შემდეგ უმოკლეს დროში ხდება კენჭისყრის წინასწარი შედეგების შეჯამება თითოეულ უბანზე და საზოგადოებისათვის გაცნობა.

აპარატის მიერ ბიულეტენების დათვლისა და წინასწარი მონაცემების ამობეჭდვის შემდგომ, პროცესში კვლავ განსაზღვრულია ხელით გადათვლა, რის შემდგომაც შედგება იურიდიული ძალის მქონე შემაჯამებელი ოქმი. თუმცა წინასწარი მონაცემები ხელით გადათვლამდე გახდება ცნობილი.

**როგორ გადაიგზავნება ხმის დათვლის წინასწარი მონაცემები ცესკოში?**

განახლებულია საარჩევნო უბანზე ამობეჭდილი წინასწარი მონაცემების ცესკოში გადაგზავნის წესი - ამ მიზნით გამოყენებული იქნება პლანშეტები, რაც შემაჯამებელი ოქმების დასურათების, მონაცემების სკანირებისა და ცენტრალურ



სერვერზე მყისიერად გადაგზავნის საშუალებას იძლევა.  
აღნიშნული პირველად და წარმატებით გაიტესტა 2023 წლის 29  
აპრილის არჩევნებზე.

## **როდის გამოცხადდება არჩევნების შედეგები?**

მას შემდეგ, რაც დასრულდება კენჭისყრა, კომისიის  
თავმჯდომარე ხმის მთვლელ აპარატში მოათავსებს გადასატანი  
ყუთის ბიულეტენებს. ხმის მთვლელი აპარატი ავტომატურ  
რეჟიმში დაითვლის ხმებს და დაბეჭდავს კენჭისყრის წინასწარი  
შედეგების შესახებ ამონაწერს, საუბნო საარჩევნო კომისიის  
თავმჯდომარე ამონაწერის ასლს პლანშეტის საშუალებით  
პირდაპირ ცესკოში გადაგზავნის, საარჩევნო უბანზე კი  
დაიწყება ხელით დათვლის პროცედურა. თუმცა, წინასწარი  
პირველადი შედეგების გამოცხადება უკვე შესაძლებელი იქნება.

საბოლოო შემაჯამებელი ოქმი კი საარჩევნო უბანზე სწორედ  
ხელით დათვლის შემდეგ შედგება. კენჭისყრის შედეგების  
შემაჯამებელი ოქმის ფოტოასლი დაუყოვნებლივ იგზავნება  
ცესკოში პლანშეტის გამოყენებით, ოქმი კი შესაბამის საოლქო  
საარჩევნო კომისიაში, რომელიც აღნიშნულ ოქმს საოლქო  
საარჩევნო კომისიის შემაჯამებელ ოქმთან ერთად გადასცემს  
ცესკოს. შემაჯამებელი ოქმი განთავსდება  
ვებგვერდზე [results.cec.gov.ge](https://results.cec.gov.ge) და ხელმისაწვდომი იქნება  
ნებისმიერი მსურველისთვის.

## **როგორ მისცემენ ხმას ამომრჩევლები იმ უბნებზე, სადაც არ იქნება ელექტრონული ვერიფიკაციის, ხმის მიცემისა და დათვლის აპარატები?**

მიუხედავად იმისა, რომ საარჩევნო უბნების მცირე ნაწილში არ  
იქნება ელექტრონული ვერიფიკაციის, ხმის მიცემისა და

დათვლის აპარატები, ტექნოლოგიებს აქაც ვიყენებთ. კერძოდ, ტრადიციული წესით 768 საარჩევნო უბანზე, სადაც არჩევნები ამ დრომდე არსებული წესით ჩატარდება, საარჩევნო ბიულეტენები დასკანერდება, გაციფრულდება, შესაბამის პლატფორმაზე აიტვირთება და ხელმისაწვდომი იქნება ყველა დაინტერესებული მხარისთვის. ეს კიდევ ერთი მექანიზმია იმისათვის, რომ დაცული იყოს საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობის მთავარი პრინციპები - გამჭვირვალობა და სანდოობა.